ივლისი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #28

ნატოს ვაშინგტონის სამიტის მიღმა: შედეგები საქართველოსთვის

2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ, საქართველოს ნატოში გაწევრების მიმართ ალიანსი და მისი წევრი სახელმწიფოები უცვლელ მიდგომას ინარჩუნებდნენ: „საქართველო გახდება ნატოს წევრი და წევრობის სამოქმედო გეგმა იქნება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი“. მას შემდეგ, საქართველო განიხილებოდა ერთ-ერთ მოწინავე ასპირანტ ქვეყნად, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა ნატოს სტანდარტებს. დაიწყო თანამშრომლობის არაერთი ფორმატი ნატოს კრიტერიუმებთან დაახლოების გზაზე საქართველოსთვის ძლიერი და მტკიცე ევრო-ატლანტიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად თავდაცვისა და უსაფრთხოების, ისევე როგორც დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების მიმართულებით.

2024 წლის ვაშინგტონის სამიტი საქართველოსთვის ისტორიული უკუსვლის ნიშნულია: პირველად 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ, ნატოს ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაში, რომელიც წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა 2024 წლის 11 ივლისს მიიღეს, აღარ არის ტრადიციული ჩანაწერი, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდება. ექსპერტების თქმით, ნატოს დეკლარაციიდან ამ ფორმულირების გაქრობა საგანგაშო დინამიკაა. ამის საპირისპიროდ, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, რომელიც ქვეყანას ვაშინგტონის სამიტზე წარმოადგენდა, ირწმუნება, რომ დეკლარაციის ზომა არ იძლეოდა შესაძლებლობას დოკუმენტის ტექსტში საქართველოს პოტენციურ გაწევრებაზე წინადადება მოხვედრილიყო. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა აგრძელებს „პარტნიორებთან მუშაობას კონკრეტული, ხელშესახები შედეგების მისაღწევად“ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის თხოვნით, სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ექსპერტმა შემდეგ კითხვებზე გვიპასუხა:

- როგორია 2024 წლის ნატოს ვაშინგტონის სამიტის მთავარი შედეგები საქართველოსთვის და ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის?
- როგორ შეუძლია საქართველოს თავიდან აიცილოს ნატოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება და როგორ შეიძლება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის რელსებზე დაბრუნება?

ლუკ კოფი

უფროსი მკვლევარი, ჰადსონის ინსტიტუტი, ვაშინგტონი

ბოლო წლებში, ქართული ოცნების მთავრობა ჩამოშორდა ევროკავშირთან დაახლოების პროცესს, ძირითად, პოლიტიკური მიმართულებით და სანაცვლოდ რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი პოზიცია არჩია: ამის საუკეთესო მაგალითი უკრაინაა. ამასთან, გასულ თვეში ეგრეთ წოდებული „რუსული კანონის“ მიღებამ ბრიუსელში ბევრი შეაშფოთა საქართველოს მთავრობის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი ერთგულებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობა არაერთხელ გააფრთხილეს, რომ კანონის მიღება ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების პერსპექტივაზე იქონიებდა გავლენას. მთავრობამ ამ გაფრთხილებებს ყურადღება არ მიაქცია.

ნატოს სამიტის ტრაგიკული შედეგი ის იყო, რომ პირველად 2008 წლის შემდეგ საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებები დეკლარაციის საბოლოო ტექსტში ვერ მოხვდა. ის, რომ დეკლარაციაში არ ყოფილა ნახსენები საქართველოს ნატოში გაწევრება, პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიუთითებს და წარმოადგენს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ევრო-ატლანტიკური გზიდან გადაუხვია. მანამ, სანამ არ მოხდება მთავრობის ან პოლიტიკის ცვლილება, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივები არადამაიმედებელია. ოქტომბრის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საუკეთესო შესაძლებლობაა ქვეყნისთვის, დაუბრუნდეს ევრო-ატლანტიკურ გზას.

ლაურა ლინდერმანი

უფროსი მკვლევარი, ატლანტიკური საბჭო, ევრაზიის ცენტრი

2008 წლის ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის შემდეგ პირველად, ივლისის ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაში არ იყო ნახსენები საქართველოს ნატოში გაწევრების გზა, რაც ალიანსთან ქვეყნის ურთიერთობების საგანგაშო ცვლილებაზე მიანიშნებს. ეს საქართველოს შეცვლილი პოლიტიკური ორიენტაციის შედეგია, რაც წინააღმდეგობრივი „უცხოური აგენტის“ შესახებ კანონის მიღებაში გამოიხატა, რომელიც დემოკრატიასა და პრესის თავისუფლებას ზღუდავს და საბოლოოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

პოლიტიკის ცვლილებასა და ანტი-დემოკრატიულ ტრაექტორიას მწვავე კრიტიკა მოჰყვა დასავლელი პარტნიორებისგან, მათ შორის აშშ-სა და ევროკავშირისგან. აშშ-ს მთავრობამ საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი გადახედვა დაიწყო, საქართველოს ოფიციალურ პირებს სამოგზაურო შეზღუდვები დაუწესა და უსასრულოდ გადადო სამხედრო სწავლება ღირსეული პარტნიორი. ამასთან, ევროკავშირმა გაყინა საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესი და ფინანსური დახმარება საქართველოს ანტი-დემოკრატიულ უკუსვლასთან დაკავშირებული შეშფოთების გამო.

საერთაშორისო თანამეგობრობის მესიჯი ნათელია: საქართველოს მთავრობის მოქმედებებს შედეგები ექნება. ნატოს დეკლარაციიდან გაქრობა ქვეყნის ევრო-ატლანტიკური სწრაფვის პროცესში მნიშვნელოვანი შეფერხებაა, რაც ქვეყნის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის მიმართულებასთან დაკავშირებულ მაღალ რისკებს უსვამს ხაზს.

რობერტ ჰამილტონი

კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის ევრაზიის პროგრამა, ფილადელფია

პირველად ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველო არაფერს წარმოადგენდა ნატოს სამიტზე. ნატომ არამხოლოდ მაღალი რანგის დელეგაციისთვის არ გაგზავნა მოსაწვევი, არამედ სამიტის კომუნიკეში იგნორირებულია საქართველო, გარდა იმ ნაწილისა, სადაც რუსეთს წევრები ტრადიციული ლექსიკით მოუწოდებენ, გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. რაც უფრო მნიშვნელოვანია, პირველად 2008 წლის შემდეგ, როდესაც ალიანსმა პირობა დადო საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ, წელს ეს პირობა აღარ განმეორებულა.

საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესი მკვდარია, და ეს ასეც უნდა იყოს. თბილისის ანტი-დასავლური და ანტი-უკრაინული რიტორიკა და მოქმედებები, მათ შორის, ყოფილი პრემიერ მინისტრის განცხადება, რომ ნატოს გაფართოებამ რუსეთის უკრაინაში შეჭრა გამოიწვია, ალიანსისთვის გაწევრიანების საკითხზე პროგრესს შეუძლებელს ხდის. როგორც ჩანს, თბილისის მიზანი რუსულ ორბიტაზე დაბრუნებაა, რაც ქართველი ხალხის სურვილებს ეწინააღმდეგება. პოლიტიკურ ლიდერებს ერევანში, რამდენიმე საათის მოშორებით, შესაძლოა ამ არჩევანის მართებულობაზე გარკვეული მოსაზრებები გააჩნდეთ.

გიორგი მუჩაიძე

აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ატლანტიკური საბჭო

2024 წლის ნატოს ვაშინგტონის სამიტმა ცხადად აჩვენა ნატოს ორი ასპირანტი ქვეყნის - საქართველოსა და უკრაინის განცალკევების მყარი ტენდენცია. მაშინ, როდესაც უკრაინის გაწევრიანების სწრაფვა ალიანსის მხრიდან ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობს, ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაში უკრაინის ნატოში გაწევრების პროცესის შეუქცევადობაზე ხაზგასმით, არანაირი მხარდაჭერა არაა გამოხატული საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიმართ და არ არის ნახსენები ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ბოლო თვეების განმავლობაში, განსაკუთრებით კი ეგრეთ წოდებული „აგენტების კანონის“ მიღების შემდეგ, როგორც ნატო, ისე ევროკავშირი მმართველ პარტიას საქართველოში დაჩქარებული დემოკრატიული უკუსვლის გამო აკრიტიკებენ, რაც ეწინააღმდეგება ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას.

ნატო პოლიტიკური-სამხედრო ალიანსია, რომელიც ეფუძნება კოლექტიური თავდაცვისა და ერთიანი ღირებულებების პრინციპებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო სტანდარტებთან თავსებადობის გარდა, გაწევრიანებისთვის ასპირანტმა ქვეყანამ დემოკრატიული კრიტერიუმებიც უნდა დააკმაყოფილოს.

გადამწყვეტი ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის რელსებზე დასაბრუნებლად მოიცავს: 2024 წლის ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, გადამწყვეტი ნაბიჯების მიღებას მედიის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, ეფექტურ დეოლიგარქიზაციას, სასამართლო სისტემის რეფორმას მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, და ე.წ. „აგენტების კანონის“ გაუქმებას.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილებისა და თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანადაფინანსებით. მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ ასახავს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და დონორთა შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„ნატოს ვაშინგტონის სამიტის მიღმა: შედეგები საქართველოსთვის," ექსპერტთა კომენტარი #28, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
Tel: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge
www.gip.ge